განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
24 დეკემბერი, 2018

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
19 იანვარი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0204 მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში ახალია (არ არის აკრედიტებული). პროგრამა შემუშავებულ იქნა 2018 წელს და აკრედიტაციის მიღების მიზნით წარმოდგენილია შემდეგი სახით: პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი და შედგება 4 მოდულისგან, მოდულებს შორის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირად ნაწილდება: მოდული I - 26 ECTS; მოდული II - 18 ECTS; მოდული III - 25 ECTS; მოდული IV - 8 ECTS. პროგრამის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს არჩევით სასწავლო კურსებს 13 ECTS კრედიტის მოცულობით და სადიპლომო პროექტს 30 ECTS კრედიტის მოცულობით. ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულებით გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა 77 კრედიტის მოცულობით.

პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაა ქართული. პროგრმით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ფინანსების მაგისტრი.

პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმავონ საფინანსო დისციპლინების თეორიული ცოდნა, ასევე გაუუმჯობესდეთ კონტექსტის შეფასების უნარები, რათა უფრო გამართულად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას უფრო მაღალი თანრიგის/რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით. შეძლებენ ორგანიზაციების და პროექტების ფინანსური ნაწილის მართვას და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. შეძლებენ იყვნენ მთავარი ფინანსური მენეჯერები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 24 დეკემბერს. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ვიზიტის დროს თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, სადიპლომო პროექტების ხელმძღვანელებთან.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სტუდენტებისა და პერსონალის მიერ უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული ბაზების გამოყენების სტატისტიკა. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მოწოდებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია. რადგანაც პროგრამა ახალია და არ არსებობს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული და დაცული სადიპლომო პროექტი, ვერ მოხდა აღნიშნული პროექტების გადახედვა.

ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბუთების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძვლეზე ექსპერთა ჯგუფის მიერ დადგინდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნის მიხედვით ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რადგანაც შემაჯამებელი პრაქტიკუმი მოიაზრებს 3 მოდულში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას, რეკომენდირებულია სასწავლო კომპონენტს „შემაჯამებელ პრაქტიკუმი“ სილაბუსით განესაზღვროს დაშვების გონივრული წინაპირობა;
  - რადგანაც დაშვების წინაპირობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტი დაშვებული იყოს კომპონენტზე იმ დროს როცა იგი ფლობს ამ კომპონენტის

დაძლევისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს, და რადგანაც სადიპლომო პროექტის შესრულება-დაცვა მოითხოვს დარგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების ფლობას, რეკომენდირებულია სადიპლომო პროექტის სილაბუსში განსაზღვრული იყოს არა მხოლოდ დაცვაზე არამედ თავად სადიპლომო პროექტზე დაშვების პირობები;

- ფინანსების პროგრამის სწავლის შედეგების (კვლევის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა, რაც პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალშია) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული კვლევის სხვადასხვა მეთოდების სწავლებას;
- რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს სადიპლომო პროექტის ტექნიკურად გაფორმებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით;
- რეკომენდირებულია 2.3 ქვესტანდარტის, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში დასახელებული სილაბუსების სწავლის შედეგების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად ფორმულირება;
- რეკომენდირებულია პროგრამას არჩევით კომპონენტად დაემატოს საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამა უზრუნველყოფდეს სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით;
- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს საერთაშორისო მობილობებისა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება;
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც მაგალითად გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამას გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა და რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება თითეული სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები;
  - სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უფრო მეტად ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ლოგიკურად იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;
  - სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დონის დაკონკრეტება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (მითუმეტეს უნივერსიტეტის მხრიდან ხდება აღნიშნულის შემოწმება

კანდიდატებთან გასაუბრებების დროს), რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა პროგრამაზე ისეთი სტუდენტის დაშვების ალბათობას, რომელთაც შეეძლებათ ინგლისურენოვანი ლიტერატურის დაძლევა;

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე დაწესებული დაშვების დამატებითი წინაპირობა, მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება (რაც გამოიკვეთა ინტერვიუების შედეგად), ფიქსირდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში;
- სასურველია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის მიცემა მათი საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სტუდენტის არასრული დატვირთვის დაშვებას;
- სასურველია ყველა სასწავლო კურსისთვის გაიწეროს საკონსულტაციო შეხვედრებისთვის დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა უნივერსიტეტში არ ფიქსირდება;
- სასურველია მოხდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის შეფასებების (მათ შორის სტუდენტთა დადებითი შეფასებების) გაზიარება პედაგოგებისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის შეთავაზება (პრაქტიკუმი), რომელიც ითვალისწინებს 3 მოდულში სტუდენტის მიერ დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიზანია: "მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმავონ საფინანსო დისციპლინების თეორიული ცოდნა, ასევე გაუუმჯობესდეთ კონტექსტის შეფასების უნარები, რათა უფრო გამართულად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს". პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიასთან, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტი ორიენტირებულია შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და ეს გარემო ხელმისაწვდომი გახადოს გამორჩეული ახალგაზრდებისთვის, ასევე, სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს. თუმცა, შესაძლებელია და სასურველია მიზანში უფრო ნათლად ჩანდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ლოგიკურად იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიზნების გაზიარება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ დასტურდება მათთან გასაუბრებების დროს. სამაგისტრო პროგრამის მიზანი საჯაროდ ხელმისაწვდომია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერზე (http://freeuni.edu.ge/ge/mission-and-vision).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში;
- პროგრამის მიზნები;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისია და ხედვა – http://freeuni.edu.ge/ge/mission-and-vision;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა 2018-2025 - http://freeuni.edu.ge/sites/default/files/FUT_S.pdf;
- ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი უფრო მეტად ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, რათა პროგრამის მიზნები უფრო ლოგიკურად იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს ფინანსების მაგისტრისთვის აუცილებელ იმ ცოდნასა და უნარებს, რასაც კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შედეგად შეიძენს. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, სწავლის და კომუნიკაციის უნარები, ისე ღირებულებები, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში.

პროგრამით აღწერილი მისაღწევი სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და ამასთანავე, შედეგებით აღწერილი ფინანსების სპეციალისტისთვის აუცილებელი დარგთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს შედეგების პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ფინანსების მაგისტრი) შესაბამისობას. აღნიშნული შესაძლებელს ხდის პროგრამის კურსდამთავრებულმა განათლების შემდეგ საფეხურზე გააგრძელოს სწავლა.

სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგისა და ბაზრის მოთხოვნებს, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფილია დასაქმების ბაზარზე ისეთი წამყვანი კომპანიების ინტენსიური ჩართულობით პროგრამის შემუშავების პროცესში, როგორიცაა სს თიბისი ბანკი, სს საქართველოს ბანკი, აუდიტორული კომპანიები: EY, Deloitte (დეტალებისთვის იხ. პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში). აღნიშნული ჩართულობა დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგადაც. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარებულია ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ფოკუს ჯგუფების დადგენა (დამსაქმებელი ფინანსისტები, საზღვარგარეთ მიღებული განათლების მქონე ფინანსების მაგისტრები) და მათთან განხორციელდა თვისებრივი კვლევა. გამოკითხვები ეხებოდა ისეთ საკითხებს როგორიცაა, დღევანდელი შრომის ბაზრის მოთხოვნები კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებსა და ცოდნასთან დაკავშირებით (დეტალებისთვის იხ. შრომის ბაზრის ანგარიში). კვლევის შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის შემუშავების პროცესში (მაგ. აუცილებელია ეკონომიკური თეორიის კარგი ცოდნა, მათემატიკურ და სტატისტიკურ კვლევის მეთოდების ცოდნა და ამ მეთოდების გამოყენების უნარი, და ა.შ.). აღნიშნული შედეგების გათვალისწინებაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა ახალია და პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, თუმცა უნივერსიტეტის მონაცემებით, ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია, რაც გარკვეულწილად მიანიშნებს, რომ სკოლის მიერ შემუშავებული პროგრამები პასუხობენ დარგის, შრომის ბაზრისა და შესაბამისად, კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

საგანამანათლებლო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები გაზომვადი და

შეფასებადია. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს თუ რომელი კომპონენტი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. ასევე, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, უნივერსიტეტში გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდით შეფასებისას ყურადღება ექცევა და მუშავდება სტუდენტთა შეფასებები კონკრეტულ სასწავლო კურსებში, ხოლო არაპირდაპირი მეთოდით შეფასების დროს კი ხდება დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. თუმცა პროგრამას არ გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების კონკრეტული გეგმა, რომელიც მოგვცემდა სწავლის შედეგების მიღწევადობის განსაზღვრის შესაძლებლობას. აღნიშნული გულისხმობს პროგრამით დასახული თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორების შემუშავებას, ინდიკატორების შეფასების დონეებისა და რუბრიკების აღწერილობას, თავად შეფასების პროცესისა და შემფასებლების შესახებ ინფორმაციას, ასევე, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას სწავლის თითეულის შედეგისათვის. აღნიშნული გეგმა და პროცესის აღწერა უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ შეფასებასა და გაანალიზებას, შესაძლო ხარვეზების აღმოჩენასა და მათ აღმოფხვრას.

საგანმანათებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობა. აღნიშნული ჩართულობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად.

ხდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება პროგრამის განვითარების მიზნით. ინტერვიუების დროს დაინტერესებული მხარეების მიერ დასახელდა და დადასტურდა მათი რეკომენდაციების გათვალისწინება უკვე მოქმედი პროგრამების შემთხვევაში. დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულები არიან განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში;
- პროგრამის დანართი - სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში, 2018;
- ბაზრის კვლევის ანგარიში, 2018;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის

ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია პროგრამას გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა და რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება თითეული სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში აღწერს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: o საერთო სამაგისტრო გამოცდაზე (B ტიპის ტესტი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა; o შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და ტესტირების წარმატებით გავლა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტი შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების დროს ამოწმებს კანდიდატების ინგლისური ენის ცოდნასა და დარგთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების ფლობას, თუმცა პროგრამის ფარგლებში არ არის განსაზღვრული თუ რა დონეზე უნდა ფლობდეს კანდიდატი ინგლისურ ენას, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში უმეტეს შემთხვევებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. ამით უნივერსიტეტი არ ზღუდავს ინგლისური ენის ცოდნის შედარებით დაბალი დონის მქონე კანდიდატს იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების დროს დაადასტურა დარგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცოდნა. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტის წარმომადგენლების აზრითა და დაკვირვებით, კანდიდატი შესძლებს პროფესიული ლიტერატურის გაგებას და დაძლევს ინგლისურენოვან მასალას. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დონის დაკონკრეტება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (მითუმეტეს უნივერსიტეტის მხრიდან ხდება აღნიშნულის შემოწმება კანდიდატებთან გასაუბრებების დროს), რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა პროგრამაზე ისეთი სტუდენტის დაშვების ალბათობას, რომლებიც შეძლებენ ინგლისურენოვანი ლიტერატურის დაძლევას. დასტურდება უნივერსიტეტის მიერ შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების საკმაოდ მკაცრად ჩატარება. უნივერიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა კანდიდატებისთვის უარის თქმის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების მკაცრად ჩატარება დასტურდება იმ ფაქტიტაც, რომ მაღალი მოთხოვნის და კონკურსის მიუხედავად არ ხდება

გამოცხადებული ადგილების სრულად შევსება. უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მიდგომა მუშაობს უკვე მოქმედ პროგრამებზე და დაკვირვებები აჩვენებს, რომ პროგრამაზე დაშვებული სტუდენტები არ აწყდებიან სწავლის შედეგების მიღწევის სირთულეებს. სირთულეები არ იქმნება არც განსხვავებული მიმართულებებიდან მოსული სტუდენტების შემთხვევაში. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობაა მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც არ არის აღწერილი პროგრამაში და გამოიკვეთა ინტერვიუების შედეგად. სასურველია აღნიშნული მოთხოვნა ფიქსირდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია მოქმედ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://freeuni.edu.ge/node/401).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში; o ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დონის დაკონკრეტება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (მითუმეტეს უნივერსიტეტის მხრიდან ხდება აღნიშნულის შემოწმება კანდიდატებთან გასაუბრებების დროს), რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა პროგრამაზე ისეთი სტუდენტის დაშვების ალბათობას, რომელთაც შეეძლებათ ინგლისურენოვანი ლიტერატურის დაძლევა; o სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე დაწესებული დაშვების დამატებითი წინაპირობა, მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება (რაც გამოიკვეთა ინტერვიუების შედეგად), ფიქსირდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში შედგენილია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების დებულების შესაბამისად, ხოლო, შემუშავების პროცესი შეფასებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. პროგრამა შედგება 4 მოდულისგან, მოდულებს შორის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირად ნაწილდება: მოდული I - 26 ECTS მოდული II - 18 ECTS მოდული III - 25 ECTS მოდული IV - 8 ECTS პროგრამის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს არჩევით სასწავლო კურსებს 13 ECTS კრედიტის მოცულობით და სადიპლომო პროექტს 30 ECTS კრედიტის მოცულობით. ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულებით გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა 77 კრედიტის მოცულობით, მათ შორის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის დათმობილია 70 კრედიტი. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აღნიშნული სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ფინანსების მაგისტრი).

ფინანსების პროგრამის სწავლის შედეგების (განსაკუთრებით კვლევასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების, მაგ. კვლევის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა, რაც პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალშია) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული კვლევის სხვადასხვა მეთოდების სწავლებას. აღნშნული კურსი და კურსის შედეგად მიღებული სწავლის შედეგები მაგისტრანტებს დაეხმარება სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესშიც. სადიპლომო პროექტის მომზადების ხელშეწყობის მიზნით ასევე რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს სადიპლომო პორექტის ტექნიკურად გაფორმებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. შესაძლებელია აღნიშნული საკითხები გაერთიანდეს ერთ სასწავლო კურსშიც. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნისა და სადიპლომო პროექტის ტექნიკურად გაფორმებისთვის საჭირო ცოდნის მიწოდებაზე პასუხისმგებელია სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელი, თუმცა მივიჩნევთ, რომ აღნიშნული ცოდნისა და უნარების სტუდენტის მიერ წინასწარ ფლობა ხელს შეუწყობს სადიპლომო პროექტის მომზადების პროცესს, საშუალებას მისცემს ხელმძღვანელს იმუშაოს სტუდენტთან უფრო მეტად შინაარსის კუთხით, რაც გაუმჯობესებს სადიპლომო პროექტის ხარისხს.

პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია. პროგრამის კომპონენტების ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში დადგენილია კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, კერძოდ, შემაჯამებელ პრაქტიკუმზე დაშვების წინაპირობად სილაბუსში არ არის განსაზღვრული პროგრამის რომელიმე კომპონენტი. რადგანაც შემაჯამებელი პრაქტიკუმი მოიაზრებს 3 მოდულში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კომპონენტს განესაზღვროს დაშვების გონივრული წინაპირობა. დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არის ტექნიკური ტიპის საკითხი სადიპლომო პროექტის სილაბუსში, კერძოდ, სილაბუსის ტექსტში სადიპლომო პროექტზე მუშაობის პროცედურების აღწერის ნაწილში დაფიქსირებულია, რომ სტუდენტი დაცვაზე დაიშვება იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს წარმატებით აქვს გავლილი ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი და დაგროვებული აქვს მინიმუმ 90 კრედიტი, თუმცა არ არის განსაზღვრული სადიპლომო პროექტზე დაშვების წინაპირობა. რადგანაც დაშვების წინაპირობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტი დაშვებული იყოს კომპონენტზე იმ დროს როცა იგი ფლობს ამ კომპონენტის დაძლევისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს, და რადგანაც სადიპლომო პროექტის შესრულება-დაცვა მოითხოვს დარგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების ფლობას, სასურველია სადიპლომო პროექტის სილაბუსში განსაზღვრული იყოს არა მხოლოდ დაცვაზე არამედ თავად სადიპლომო პროექტზე დაშვების პირობები.

პროგრამის ფარგლებში, გამონაკლისი შემთხვევების გარდა (გადასახადები, ბიზნესის სამართალი, როცა მნიშვნელობანია ქართული კონტექსტისა თუ საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა), გამოყენებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას.

პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი კომპონენტის არსებობას და არჩევითი კომპოენენტის ფარგლებში უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისთვის საჭირო სასწავლო კურსების არჩევითობას. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციითა და ანგარიშებით (იხ.პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის 2018 წლის ანგარიში და ბაზრის კვლევის 2018 წლის ანგარიში). ჩართულობა ასევე დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ინტერვიუების დროს განიმარტა მათი მონაწილეობა და დასახელდა გარკვეული რეკომენდაციები, რისი გათვალისწინებაც მოხდა პროგრამის შემუშავების პროცესში. ფინასნების სამაგისტრო პროგრამა ახალია (არ არის აკრედიტებული და არ ფუნქციონირებს) და შესაბამისად არ არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, თუმცა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უკვე მოქმედი პროგრამების საჯაროობას, მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირერბის სამაგისტრო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://freeuni.edu.ge/node/457).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამაგისტრო პროგრამების დებულება; o საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების შეფასების წესი; o სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში; o სილაბუსები; o პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში, 2018; o ბაზრის კვლევის ანგარიში, 2018; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; o ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რადგანაც შემაჯამებელი პრაქტიკუმი მოიაზრებს 3 მოდულში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას, რეკომენდირებულია სასწავლო კომპონენტს „შემაჯამებელ პრაქტიკუმი“ სილაბუსით განესაზღვროს დაშვების გონივრული წინაპირობა;
- რადგანაც დაშვების წინაპირობის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტი დაშვებული იყოს კომპონენტზე იმ დროს როცა იგი ფლობს ამ კომპონენტის დაძლევისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს, და რადგანაც სადიპლომო პროექტის შესრულება-დაცვა მოითხოვს დარგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების ფლობას, რეკომენდირებულია სადიპლომო პროექტის სილაბუსში განსაზღვრული იყოს არა მხოლოდ დაცვაზე არამედ თავად სადიპლომო პროექტზე დაშვების პირობები;
- ფინანსების პროგრამის სწავლის შედეგების (კვლევის სხვადასხვა მეთოდების ცოდნა, რაც პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალშია) უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული კვლევის სხვადასხვა მეთოდების სწავლებას;
- რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს სადიპლომო პორექტის ტექნიკურად გაფორმებისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ამასთანავე, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება თავად კურსის შინაარს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საფეხურს, თუმცა არის გარკვეული ტიპის ტექნიკური საკითხი კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სასწავლო კურსებში „საფინანსო ინსტიტუტები და ბაზრები“ და „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ საკმაოდ მარტივადაა სწავლის შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმულირებული. სასწავლო კურსის „საფინანსო ინსტიტუტები და ბაზრები“ სილაბუსის თანახმად სტუდენტმა იცის: „რა როლს თამაშობენ საფინანსო ინსტიტუტები, რომელი ინსტიტუტები მოქმედებენ ზოგადად ბაზარზე, და კერძოდ საქართველოში, რით განსხვავდებიან საფინანსო ინსტიტუტები ერთმანეთისგან და რა აქვთ საერთო, რა კავშირია საფინანსო ინსტიტუტებს და ბაზარებს შორის, რა განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთებს და რატომ არის მნიშნელოვანი მათი პროგნოზირება, რა განსაზღვრავს სავალუტო კურსებს და რატომ არის მათი პროგნოზირება მნიშვნელოვანი, რა არის საპროცენტო განაკვეთების რისკი და რა ბერკეტი გააჩნია საფინანსო ინსტიტუტს მათ სამართავად“. ხოლო, სასწავლო კურსის „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ სილაბუსის თანახმად სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნაა: „ეცოდინებათ საინვესტიციო პორტფელის მნიშვნელობა, ეცოდინებათ თუ რატომ აკეთებენ ადამიანები ინვესტიციებს“. მარტივია სასწავლო კურსების თემების ფორმულირებაც, მაგ. შეხვედრის თემაა: ფინანსური ბაზრები: ობლიგაციები, ან ფინანსური ბაზრები: აქციები, ან რა არის საპროცენტო განაკვეთი და როგორია მისი როლი ღირებულების შეფასებაში. სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარება სტუდენტებისთვის, თუმცა სასურველია აღნიშნული კუთხით მოხდეს სილაბუსების დახვეწა და სწავლის შედეგების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად ფორმულირება. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა ლოგიკურია და შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, აღნიშნული თანაფარდობაა საშუალოდ 1/3, კონკრეტული სასწავლო კურსების მიხედვით: 1/2, 1/4, 1/3, იშვიათ შემთხვევაში: 1/5 და 1/1. აღნიშნული თანაფარდობები ლოგიკური და მისაღებია

სამაგისტრო საფეხურისთვის და კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სათანადოა და შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა თანამედროვეა და შესაბამისად უზრუნველყოფს დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან თითოეული სასწავლო კურსისა და მთლიანად პროგრამის შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში; o პროგრამის დანართი - კურიკულუმი; o სილაბუსები; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: o რეკომენდირებულია 2.3 ქვესტანდარტის, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში დასახელებული სილაბუსების სწავლის შედეგების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად ფორმულირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში მნიშვნელოვანი მოცულობით პრაქტიკული მეცადინეობებით. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული პროგრამით გათვალისწინებული შემაჯამებელი პრაქტიკუმი, რომელიც ითვალისწინებს 3 მოდულში სტუდენტის მიერ დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას. პროგრამა არ ითვალისწინებს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას. პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, რადგანაც პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა მინიმუმ 2 წლიანი სამუშო გამოცდილება და შესაბამისად მაგისტრანტთა 100% დასაქმებულია, არ იკვეთება საწარმოო პრაქტიკის საჭიროება. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაშვების წინაპირობებში არ არის დაკონკრეტებული პროფესიით დასაქმების მოთხოვნა. დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს დასახელებულ იქნა შემთხვევები, როცა სტუდენტები მხოლოდ პროგრამაზე დაშვების მიზნით საქმდებიან მინიმალური მოთხოვნილი პერიოდით (შესაძლებელია არა პროფესიით) და შესაბამისად არ ფლობენ სამაგისტრო საფეხურისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს. ამდენად, სასურველია პროგრამას არჩევით კომპონენტად დაემატოს საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამა უზრუნველყოფდეს სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით. მითუმეტეს, რომ პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე უფრო მეტად ვიდრე კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. გარდა ამისა, ვთვლით, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სტუდენტები პრაქტიკის კომპონენტით, რადგანაც დამყარებულია ძალიან წარმატებულ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა (აღნიშნული თანამშრომლობა დასტურდება ხელშეკრულებებით და ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად). სადიპლომო პროექტი მიმართულია პროგრამის ფარგლებში მიღებული პროექტთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის გაღრმავების, ამ ცოდნის პრაქტიაში გამოყენების უნარისა და კვლევის უნარების გამომუშავება-განვითარებისკენ. სადიპლომო პროექტს ხელმძღვანელობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. ხელმძღვანელი მონაწილეობს სადიპლომო პროექტის შეფასების პროცესში და აფასებს სტუდენტის მუშაობას. სადიპლომო პროექტი შინაარსობრივად მოწმდება

რეცენზენტის (უნივერსიტეტის აკადმიური პერსონალის) მიერაც, ფორმატირებას და მართლწერას ამოწმებს დეკანატი, ხოლო ზეპირი პრეზენტაცია ფასდება კომისიის მიერ. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს სადიპლომო პროექტის ხარისხიანად შესრულებას, პროექტით დადგენილი კვლევის უნარების გაღრმავებასა და ზოგადად პროექტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში; o სილაბუსები; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; o ინტერვიუ სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: o რეკომენდირებულია პროგრამას არჩევით კომპონენტად დაემატოს საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამა უზრუნველყოფდეს სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის შეთავაზება (პრაქტიკუმი), რომელიც ითვალისწინებს 3 მოდულში სტუდენტის მიერ დაგროვებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებასა და გაღრმავებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურთან, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს და კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების ფარგლებში ფართოდაა გამოყენებული შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, დისკუსია-დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული პრაქტიკული უნარების, ანალიზისა და მსჯელობის, დარგთან დაკავშირებული შემთხვევების შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების და ზოგადად პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ ხდება სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და სწავლების შესაბამისი მიდგომების გამოყენება, კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ინტერვიუების დროს დადასტურდა დამატებითი კონსულტაციებისა და დამატებიტი დავალებებით იმ სტუდენტების უზრუნველყოფა, რომლებსაც აქვთ განსხვავებული მიმართულების განათლება საბაკალავრო საფეხურზე და საჭიროებენ ლექტორთან დამატებით მუშაობას. ინდივიდუალურ საჭიროებებთან დაკავშირებით სტუდენტების მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარედ დასახელდა სტუდენტებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სტუდენტის არასრული დატვირთვის დაშვებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში; o სილაბუსები; o ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; o ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობის მიცემა მათი საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სტუდენტის არასრული დატვირთვის დაშვებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ „სამაგისტრო პროგრამების დებულებით“ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია (შეფასების სისტემა გაწერილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად). შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები. შუალედური შეფასებების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20%. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება ფიქსირდება უნივერსიტეტის საკომუნიკაციო პლატფორმაზე „ემისი“, რაც გამოიყენება სტუდენტის საერთო მოსწრების აღრიცხვისათვის. სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, ლექტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს სტუდენტის შეფასების საკუთარი სისტემა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს შეფასების საერთო წესთან და დეტალურად უნდა იყოს ასახული კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს

სასწავლო კურსის სპეციფიკას და დასახულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს შეფასების ისეთი ფორმების გამოყენებას, რაც შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. მაგ. სასწავლო კურსში „მოდელირება ექსელში“ დასკვნითი გამოცდის დროს ელექტრონული დავალების გამოყენება (რაც გულისხმობს ამოცანის მოდელირებას და ანალიზს მითითებული ინსტრუმენტების მეშვეობით) იძლევა სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგის „ამოცანის ამოხსნისას მარტივი და რთული ლოგიკური ფუნქციებისა და მათემატიკური ოპერაციების გამოყენების უნარი“ შეფასების საშუალებას. ან, სასწავლო კურსში „ფინანსური აღრიცხვა“ დასკვნითი გამოცდის დროს ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დავალება (რაც გულისხმობს მოგება-ზარალის, კაპიტალის ცვლილების, ბალანსისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებების აგებას) იძლავა სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგის „ყველა ანგარიშგების შედგენის უნარი“ შეფასების საშუალებას, და ა.შ.

გასაუბრების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას და ნაშრომის გასაჩივრების შემთხვევაში ადმინისტრაციის მხრიდან მიუღიათ სწორი და სამართლიანი რეაგირება.

სადიპლომო პროექტი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით, კომისიური წესით. კომისია აფასებს პროექტის შინაარსსა და მის ზეპირ პრეზენტაციას, კომისიის შემადგენლობაშია მინიმუმ 5 (ხუთი) წევრი. სადიპლომო პროექტის შეფასებაში მონაწილეობას იღებს პროექტის ხელმძღვანელი (მის მიერ ფასდება სტუდენტის მუშაობა), დეკანატი (რომელიც აფასებს პროექტის ტექნიკურ გაფორმებას) და რეცენზენტი (უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც ამოწმებს სადიპლომო პროექტის შინაარსს). პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ შეფასება ერთჯერადია და შეფასების ყველა მონაწილე პროექტს აფასებს პროექტის წარდგენის დროს დასკვნითი შეფასებით.

სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა გაწერილია „სამაგისტრო პროგრამების დებულებაში“, რომელიც განთავსებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://freeuni.edu.ge/sites/default/files/samagistros%20debuleba%20free.pdf). ყოველი სასწავლო კურსის დაწყების წინ ხდება შეფასების სისტემის სტრუქტურის გაცნობა სტუდენტებისთვის.

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე, იღებენ საკუთარი ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამების დებულება;
- ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

o სილაბუსები; o ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან; o თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სამაგისტრო პროგრამების დებულება“; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია, როგორც სტუდენტური პორტალის (ემისი) მეშვეობით, აგრეთვე ელექტრონული ფოსტის, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით. სასწავლო კურსის სილაბუსებში არ ფიქსირდება სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების დრო და ადგილი. თუმცა სტუდენტების მხრიდან დადასტურდა, რომ არ არ აღნიშნული არ ქმნის პედაგოგებთან კომუნიკაციის პრობლემას. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პროექტებსა და აქტივობებში, თუმცა დროის უქონლობის გამო სტუდენტების მხრიდან ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პროექტების და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით. თუმცა აღსანიშნავია სტუდენტთა პასიური დამოკიდებულება საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. გაცლითი პროგრამებში მონაწილეობის წახალისება ნაკლებად ხდება პროგრამის ფარგლებშიც უნივერსიტეტის მხრიდანაც. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებს მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტი იღებს უკუკავშირს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ასევე, სტუდენტისთვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o სილაბუსები; o ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან; პედაგოგებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს საერთაშორისო მობილობებისა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ყველა სასწავლო კურსისთვის გაიწეროს საკონსულტაციო შეხვედრებისთვის დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა უნივერსიტეტში არ ფიქსირდება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სადიპლომო პროექტზე სტუდენტი მუშაობს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. სადიპლომო პროექტის შესრულებისას, აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.

სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტს გაუწიოს კონსულტაციები პროექტის შინაარსის, პროექტში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების და ასევე, პროექტის ტექნიკურად გაფორმების შესახებ.

სადიპლომო პროექტის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე.

სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელი არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის

აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ან მოწვეული პერსონალი. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o საგანმანათლებლო პროგრამა; o სადიპლომო პროექტის სილაბუსი; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და სადიპლომო პროექტის ხელმძღვანელებთან; o ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფინანსების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით. პირადი საქმეების შესწავლის და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი კომპეტენცია სრულად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა. ფინანსების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 3 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 0 ასისტენტ პროფესორი და 7 შესაბამისი აკადემიური ხარისხის/ პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოწვეული ლექტორი. მათ შორის 3 აფილირებული პროფესორი და 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობას. პროგრამას ჰყავს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა -გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის

განხორციელებაში. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას სამაგისტრო პროგრამის და სასწავლო პროცესის შესახებ, ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დროს შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o პერსონალის პირადი საქმეები; o აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; o ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან; o ინტერვიუ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იქნა ექსპერტებისთვის ვიზიტის დროს და რომლის პრაქტიკაში გამოყენებაც დაადასტურეს როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა, ისე პროფესორ-მასწავლებლებმა. აკადემიური პერსონალის და მეცნიერთა ყოველწლიური აქტივობის შეფასების შედეგების მონიტორინგს ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი და გეგმავს ღონისძიებებს მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის შეიმუშავებს პერსონალის განვითარების მეთოდებსა და მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის კულტურის ამაღლებას უნივერსიტეტში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი შეთანხმებები ითვალისწინებს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის მინიმალურ მოთხოვებს. ხელფასი 2 ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი პროფესორ-მასწავლებლების თვითგანვითარებისთვის არის განკუთვნილი. იგი არა რის დამოკიდებული წაკითხული საათების რაოდენობაზე. მეორე ნაწილი კი აკადემიურ-სალექციო ნაწილში აქტიური ჩართულობისთვის არის გათვალისწინებული.

პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ აქვს, თუმცა კვლევების დაფინანსებას თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ყოველ სასწავლო წელს, ჯამური ხარჯების მინიმუმ 10%-ს ახმარს. აქედან 5% უნივერსიტეტის გარეთ მოპოვებული დაფინანსებაა, ხოლო მინიმუმ 5% შიდა საუნივერსიტეტო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ რექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი და ფორმები;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს ფინანსების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, დაათვალიერეს აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული კლასები, საკონფერენციო დარბაზი და საგამოცდო ცენტრი. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით. უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს, ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია სასწავლო კურსების სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურით და იგი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, წიგნადი ფონდის განახლება ხდება რეგულარულად. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს წვდომა უცხოურ ელექტრონულ ინტერნეტ-რესურსებზე, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ უცხოენოვანი წიგნების, სტატიების და კვლევების მოძიება და გაცნობა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბაზების

გამოყენების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად სარგებლობენ აღნიშნული ბაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; o ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; o ინტერვიუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნულის თანახმად პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ აქვს. ეს არ ეხება მხოლოდ ფინანსების სამაგისტრო პროგრამას. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არსებულ არცერთ სასწავლო პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია. ექსპერტების გაეცნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ 2017-

2018 აკადემიური წლის ბიუჯეტს და ბოლო 5 წლის განმავლობაში დაფინანსების დინამიკას. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხდება უნივერსიტეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის დადგენა, რადგან ინფორმაცია მხოლოდ პროცენტებშია მოცემული (ესა თუ ის შემოსავალი ან ხარჯი მთლიანი შემოსავლის ან ხარჯის რა ნაწილს შეადგენს), თუმცა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 2017-2018 აკადემიური წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები (მაგ. როგორიცაა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, ინდივიდუალური კვლევითი და პროფესიული განვითარების სახელფასო დაფინანსება, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების ხარჯები, მარკეტინგისა და კომუნიკაციის ხარჯები) შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; o თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 2017-2018 აკადემიური წლის ბიუჯეტი; o ინტერვიუ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობისას პროცესში ხემძღვანელობს უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. სამსახური ხელძღვაელობს პრინციპით "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა ხარისხის შეფასების მიზნით თანამშრომლობს საგანმანათებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან. აღნიშნული მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ატარებს გამოკითხვებს „Surbeymonkey“-ის პლატფორმის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად, სტუდენტების მიერ ანონიმურად ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის, სასწავლო კურსებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეფასება. აღნიშნული კვლევის გარდა ტარდება ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერს აწვდის ინფორმაციას კვლევის შედეგების ანალიზის საფუძვლეზე აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით გამოვლენილ ხარვეზებზე. გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი აწყობს სემინარებსა და ტრენინგებს პერსონალის პედაგოგიური უნარების განვითარების მიზნით. ჩატარებული ტრენინგები ემსახურება სწავლების მეთოდების დანერგვას, სწავლების

ელექტრონულ სისტემაში უწყისების გენერირების პროცესის გამართვას და ა.შ.

პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, ასევე შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პერიოდულად ესწრება სასწავლო კურსების მიმდინარეობას, სწავლების პროცესისა და მეთოდების შეფასების მიზნით. დაკვირვებების შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების გაზიარება. აღნიშნული დადასტურდა პროფესიული განვითარების მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან ინტერვიუების შედეგად.

შეფასების პროცესებში ჩართულობა ინტერვიუების დროს დადასტურდა სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერაც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ყვლა ჩატარებული კვლევის შედეგების დამუშავება და გაანალიზება. მიღებული კვლევის შედეგები ეცნობა შესაბამის სამსახურებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს აცნობს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პედაგოგებსაც. როგორც ინტერვიუების დროს გახდა ცნობილი არ ხდება სტუდენტთა დადებითი შეფასებების გაცნობა სასწავლო კურსის ლექტორებისთვის, ხდება მხოლოდ გამოვლენილი ხარვეზების გაზირება. სასურველია მოხდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის შეფასებების (მათ შორის სტუდენტთა დადებითი შეფასებების) გაზიარება პედაგოგებისთვის.

ასევე, სასურველია ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც მაგალითად გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში, 2018;
- ბაზრის კვლევის ანგარიში, 2018;
- ინტერვიუ პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მეტად ფორმალიზება, რაც მაგალითად გულისხმობს საქმიანობის ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის შეფასებების (მათ შორის სტუდენტთა დადებითი შეფასებების) გაზიარება პედაგოგებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიაციის პროცესებს, ამ პროცესების შედეგად მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროცედურების დახვეწა და გაუმჯობესება.

უნივერიტეტის მიერ გამოყენებულ ხარისხის გარე შეფასების მექანიზმად ასევე სახელდება პროგრამების შეფასების პროცესში დამსაქმებელთა მონაწილეობა. ხდება დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამის ფრგლებში განსავითარებელი ცოდნისა და უნარების შესახებ, რისი გათვალისწინებაც ხდება ახალი პროგრამების შემუშავებისა თუ არსებული პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში, 2018;
- ბაზრის კვლევის ანგარიში, 2018;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით ხდება პროგრამების შეფასება სტუდენტების, პროგამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძვლეზე საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამებისა და სასწავლო კურსების (პროგრამის სხვა კომპონენტების) მოდიფიცირება, დახვეწა. შეფასების ანალიზის

საფუძველზე როგორც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შესაძლებელია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სტუდენტთა სამუშაო დატვირთვა, გამოყენებული ლიტერაურა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სწავლის პროცესების განვითარებასა და გაუმჯობესებას ემსახურება ზემოთაღნიშნული საკითხი სასწავლო პროცესის დაკვირვების შესახებ. კერძოდ, აღნიშნულის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პერიოდულად ესწრება სასწავლო კურსების მიმდინარეობას, სწავლების პროცესისა და მეთოდების შეფასების მიზნით. დაკვირვებების შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით ასევე ხდება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების რეგულარული (სემესტრული) შეფასებები. შეფასების შედეგებიც ასევე გამოიყენება აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ხარვეზების გამოსწორების მიზნით საჭიროების შემთხვევებში ხდება ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება და ჩატარება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პერიოდულად ხდება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის განხილვა. აღნიშნული მიზნით ფინანსების სამაგისტრო პროგრამის შედარებითი ანალიზი გაკეთდა 4 პროგრამასთან, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევის ანგარიშის თანახმად QS University Ranking-ის მიხედვით ფინანსური მაგისტრატურის რეიტინგის ოცეულში შედის:

1. Alliance Manchester Business School
2. Imperial College London Business School
3. Stockholm School of Economics
4. MIT Sloan School of Management

შედარებითი ანალიზის საფუძვლეზე მოხდა შემდეგი საკითხების გათვალისწინება: მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების ფართო გამოყენება, პროგრამის ფარგლებში ისეთ სასწავლო კურსების გათვალისწინება როგორიცაა, კორპორატიული ფინანსები, საფინანსო ინსტიტუტები და ბაზრები, კომპანიის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ანაგარიში, 2018;
- ბაზრის კვლევის ანგარიში, 2018;

o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორთან; o ინტერვიუ პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან; o ინტერვიუ სტუდენტებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; o ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: o N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო ხუნდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა:

თეა კასრაძე



ანა მიხელიძე